ამერიკული საერთაშორისო სკოლა
პროგრესი - ბათუმი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების
კატალოგი
2025

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
“კომპიუტერული ქსელი და სისტემები”

PROGRESS AMERICAN SCHOOLS

პროგრამის მიზანი:

კომპიუტერული ქსელისა და სისტემების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია კომპიუტერული ქსელისა და სისტემების კვალიფიცირებული სპეციალისტის მომზადება, რომელიც ფლობს კომპიუტერის აპარატურულ-პროგრამული უზრუნველყოფის, მცირე ზომის ქსელების ორგანიზებისა და გამართვის, ბაზისური სერვერული სერვისების ადმინისტრირების უნარ-ჩვევებს; აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს.

კურსდამთავრებულთა დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:

კომპიუტერული ქსელისა და სისტემების სპეციალისტი შეიძლება დასაქმდეს ქსელური და სერვერული ინფრასტრუქტურის მქონე ან/და ინფორმაციული ტექნოლოგიების სერვისებით მოსარგებლე ნებისმიერ მცირე და საშუალო ზომის ორგანიზაციაში, ასევე სატელეკომუნიკაციო პროფილის მქონე ორგანიზაციებში, ფილიალების/ობიექტების მქონე ქსელურ ორგანიზაციებში, მონაცემთა მართვის სააგენტოებში და სხვა ნებისმიერ, დიდი ზომის ორგანიზაციაში ქსელისა და სისტემების უმცროს (Junior)ადმინისტრატორად.



პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
“კომპიუტერული ქსელი და სისტემები”

PROGRESS AMERICAN SCHOOLS

✓ **განხორციელების ფორმატი:**

- ინტეგრირებული – მოიცავს ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის შედეგებს;
- არაინტეგრირებული პროგრამა – არ მოიცავს საშუალო საფეხურის სწავლის შედეგებს.

✓ **მიღების წინაპირობები:**

- ინტეგრირებული პროგრამა – საბაზო ზოგადი განათლება;
- არაინტეგრირებული პროგრამა – სრული ზოგადი განათლება.

✓ **განხორციელების ადგილი:**

- ქ. ბათუმი, ვ.შამილაძის №30.

✓ **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა**

- კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პირმა, რომელიც ჩარიცხულია პროგრამაზე, რომლის სასწავლო გეგმაშიც არ არის ინტეგრირებული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, უნდა დააგროვოს ჯამურად 87 კრედიტი.

- კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პირმა, რომელიც ჩარიცხულია პროგრამაზე, რომლის სასწავლო გეგმაშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, უნდა დააგროვოს ჯამურად 117 კრედიტი.

- მოდულის, ,,ქართული ენა A2“ (15 კრედიტი) და ,,ქართული ენა B1” (15 კრედიტი) გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე შერჩევის გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით. შესაბამისად, ასეთი პირებისათვის კრედიტთა ჯამური რაოდენობა იქნება:
  პროგრამისათვის ინტეგრირებული სასწავლო გეგმით - 117 კრედიტი;
  პროგრამისათვის არაინტეგრირებული სასწავლო გეგმით - 147 კრედიტი

მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები:

კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირს შეუძლია:

- უზრუნველყოს პერსონალური კომპიუტერისა და პერიფერიული მოწყობილობების აპარატურული და პროგრამული მხარდაჭერა;
- იმუშაოს მობილურ და ლინუქს ოპერაციულ სისტემებთან;
- დაამონტაჟოს და გამართოს მცირე და საშუალო ზომის კომპიუტერული ქსელი;
- დაამონტაჟოს და გამართოს ვიდეო სამეთვალყურეო სისტემები;
- გამართოს ბაზისურად კომპიუტერული ქსელის ფიზიკური და ლოგიკური ტოპოლოგია;
- უზრუნველყოს კომპიუტერულ ქსელებში ბაზისური კომუტაცია და მარშუტიზაცია;
- გამართოს ბაზისურად VOIP ტელეფონია;
- გამართოს ბაზისურად Windows სერვერული ოპერაციული სისტემის და ქსელური სერვისები;
- გამართოს ბაზისურად Linux სერვერული ოპერაციული სისტემა;
- გამართოს ბაზისურად სერვერის ვირტუალიზაციის ტექნოლოგია;
- გამოიყენოს Cloud პლატფორმები;
- უზრუნველყოს კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში გაუმართაობების იდენტიფიცირება და აღმოფხვრა.

პროგრამის განხორციელების მიდგომა - იმიტირებულ სამუშაო გარემოში სწავლება. პროგრამისთვის გათვალისწინებულია ორი სასწავლო გეგმა - ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით და მის გარეშე.

სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

ა) წინმსწრები ფორმალურიგანათლების ფარგლებში მიღწეულისწავლის შედეგების აღიარებით;
ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით. არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს, როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
ა) სწავლის შედეგიდადასტურდა
ბ) სწავლის შედეგივერ დადასტურდა.

პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამის ფარგლებში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურება ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
“კომპიუტერული ქსელი და სისტემები”

PROGRESS AMERICAN SCHOOLS

კვალიფიკაციის მინიჭება

- პროფესიული სტუდენტისათვის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების საფუძველს წარმოადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა მოდულის კრედიტების ათვისება. კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობაა

საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება;

- საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარების ზოგად წესსა და პირობებს განსაზღვრავს საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის მინისტრი.

კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულებზე გაიცემა კვალიფიკაციის დამადასტურებელი ორენოვანი დიპლომი (დანართით).
- ინტეგრირებული პროგრამის კურსდამთავრებულის დიპლომი გათანაბრებულია სრული ზოგადი განათლებისა ატესტატთან და მას უფლება აქვს სწავლა განაგრძოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

კლასიფიკაციის აღწერა

- ISCED კოდი და აღწერა: 0612 მონაცემთა ბაზებისა და ქსელების დიზაინი და ადმინისტრირება - შეისწავლის პროგრამული უზრუნველყოფის აპლიკაციების დიზაინს, შენაჩუნებასა და ინტეგრაციას. მოიცავს მედიააპლიკაციებსაც;
- ISCO კოდი: 3513 კომპიუტერული ქსელისა და სისტემების ტექნიკოსები;ეკონომიკური საქმიანობის სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი: 62.03.0 კომპიუტერული საშუალებების მართვის საქმიანობები

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
“ Front-end დეველოპმენტი”

PROGRESS AMERICAN SCHOOLS

პროგრამის მიზანი

პროფესიული საგანთლებლო პროგრამის მიზანია ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი კადრის - Front-end დეველოპერის მომზადება, რომელიც ფლობს ვებ გვერდის მომხმარებლის ინტერფეისისა და ინტერაქტიული ვებ გვერდის შექმნის უნარ-ჩვევებს, შეძლებს განახორციელოს ვებ გვერდის ოპტიმიზაცია, ვებ პროექტის ვერსიების კონტროლი და უზრუნველყოფს საკუთარ პროფესიული განვითარებას



კურასდამთავრებულის დასაქმების შესაძლებლობები

Front-end დეველოპერი შესაძლოა დასაქმდეს კერძო ან საჯარო დაწესებულებებში, ასევე თვითდასაქმებით Front-end დეველოპერის პოზიციაზე.



განხორციელების ფორმატი:

- ინტეგრირებული – მოიცავს ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის შედეგებს;
- არაინტეგრირებული პროგრამა – არ მოიცავს საშუალო საფეხურის სწავლის შედეგებს.

მიღების წინაპირობები:

- ინტეგრირებული პროგრამა – საბაზო ზოგადი განათლება;
- არაინტეგრირებული პროგრამა – სრული ზოგადი განათლება.

განხორციელების ადგილი:

- ქ. ბათუმი, ვ.შამილაძის №30.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა

- Front-end დეველოპმენტში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭიროა ჯამურად 60 კრედიტის დაგროვება. პროგრამა ითვალისწინებს 10 პროფესიულ მოდულს ჯამური 51 კრედიტის მოცულობით და 3 ზოგად მოდულს ჯამური 9 კრედიტის მოცულობით.

- Front-end დეველოპმენტში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პირმა, რომელიც ჩარიცხულია პროგრამაზე, რომლის სასწავლო გეგმაშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, უნდა დააგროვოს ჯამურად 88 კრედიტი. პროგრამა ითვალისწინებს 10 პროფესიულ მოდულს ჯამური 51 კრედიტის მოცულობით, 2 ზოგად მოდულს ჯამური 7 კრედიტის მოცულობით და 6 ინტეგრირებულ ზოგად მოდულს, ჯამური 30 კრედიტის მოცულობით.

- მოდულის, ,,ქართული ენა A2“ (15 კრედიტი) და ,,ქართული ენა B1” (15 კრედიტი) გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე შერჩევის გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით. შესაბამისად, ასეთი პირებისათვის კრედიტთა ჯამური რაოდენობა იქნება:
  პროგრამისათვის არაინტეგრირებული სასწავლო გეგმით - 90 კრედიტი;
  პროგრამისათვის ინტეგრირებული სასწავლო გეგმით - 118 კრედიტი.

Front-end დეველოპმენტის საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირს შეუძლია:

- შექმნას ვებ გვერდის მომხმარებლის ინტერფეისი;
- შექმნას ინტერაქტიული ვებ გვერდი;
- განახორციელოს ვებ გვერდის ოპტიმიზაცია;
- განახორციელოს ვებ პროექტის ვერსიების კონტროლი;
- უზრუნველყოს საკუთარი პროფესიული განვითარება.

სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:
ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით
ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით
გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა
ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
“ Front-end დეველოპმენტი”

PROGRESS AMERICAN SCHOOLS

კვალიფიკაციის მინიჭება

- პროფესიული სტუდენტისათვის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების საფუძველს წარმოადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა მოდულის კრედიტების ათვისება. კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობაა

საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება;

- საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარების ზოგად წესსა და პირობებს განსაზღვრავს საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის მინისტრი.

კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულებზე გაიცემა კვალიფიკაციის დამადასტურებელი ორენოვანი დიპლომი (დანართით).
- ინტეგრირებული პროგრამის კურსდამთავრებულის დიპლომი გათანაბრებულია სრული ზოგადი განათლებისა ატესტატთან და მას უფლება აქვს სწავლა განაგრძოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

კლასიფიკაციის აღწერა

- ISCED კოდი და აღწერა: 0612 მონაცემთა ბაზებისა და ქსელების დიზაინი და ადმინისტრირება - შეისწავლის პროგრამული უზრუნველყოფის აპლიკაციების დიზაინს, ფუნქციონირებასა და ინტეგრაციას. მოიცავს კომპიუტერულ მედია აპლიკაციებსაც.
- ISCO კოდი: 3514 ინტერნეტ-ტექნიკოსები
- ეკონომიკური საქმიანობის სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი: 62.01.0 კომპიუტერული დაპროგრამების საქმიანობები

სკოლა პროგრესი გისურვებთ წარმატებას!